სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

08 ივლისი 2026

N 464/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 10.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში, შპს „თეგეტა მოტორსი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.10.39.767; ფართობი: 39 668 $მ^2$), სადაც სპეცტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ობიექტია განთავსებული. სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოსაწყობად გამოყენებული იქნება ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული კაპიტალური შენობა, საიდანაც 60 $მ^2$-ს ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტი“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 81.07.04.191) დაშორებულია დაახლოებით 1 030 მეტრით. ამასთან, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 510 მეტრში ქვემო სამგორის არხი მდებარეობს, ხოლო დაახლოებით 1,22 კილომეტრში მდინარე ლოჭინი მიედინება. საპროექტო ტერიტორიის 500-მეტრიან რადიუსში ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის საქმიანობის მსგავსი პროფილის ობიექტი არ ფიქსირდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი განკუთვნილი იქნება შპს „თეგეტა მოტორსი“-ს ტექნიკური მომსახურების ობიექტის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენებისთვის (კოდი: 13 01 05*; 13 01 09*; 13 01 10*; 13 01 11*; 13 01 13*; 13 02 04*; 13 02 05*; 13 02 06*; 13 02 07*; 13 02 08*; 13 03 10*; წლიური ჯამური რაოდენობა: 115 200 ლიტრი; კოდი: 16 01 14*; წლიური რაოდენობა 8 000 ლიტრი) და წარმოდგენილი იქნება ნარჩენი ზეთების შესანახი 3 ერთეული (თითოეული 5 $მ^3$) და ნარჩენი ანტიფრიზის შესანახი 1 ერთეული (5 $მ^3$) პლასტმასის, ორშრიანი, მიწისზედა რეზერვუარებით. მითითებული რეზერვუარები მობეტონებულ, სითხეგაუმტარ,

შემოფარგლულ ზედაპირზე განთავსდება და გადავსების საწინააღმდეგო სისტემით აღიჭურვება. რეზერვუარებთან და მის დამხმარე ინფრასტრუქტურასთან ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი და შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშნები დამონტაჟდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ტექნიკური მომსახურების ობიექტის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენი ზეთები სარემონტო ორმოებში განთავსებულ სპეციალურ, გორგოლაჭებზე მგორავ, 60-80 ლიტრი ტევადობის, მეტალის ჭურჭელში ჩაისხმება, საიდანაც ამავე ორმოებში დამონტაჟებული პნევმატური ტუმბოებისა და პლასტმასის მილებით შესაბამის რეზერვუარებში დაგროვდება (დახურული/ჰერმეტული სისტემა). იგივე პრინციპით მოხდება ნარჩენი ანტიფრიზის შეგროვება და რეზერვუარში გადატუმბვა. დაგროვილი სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას გადაეცემა. სახიფათო ნარჩენების ობიექტიდან გატანა მოხდება თვეში ერთხელ, ან შპს „თეგეტა მოტორსი“-ს მოთხოვნის შესაბამისად, სპეციალიზებული ლიცენზირებული ავტოცისტერნით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა დაახლოებით 1 თვის განმავლობაში გაგრძელდება და მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული არ იქნება. სამშენებლო სამუშაოების ადგილმდებარეობის, სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტზე წყლის გამოიყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო და სახანძრო დანიშნულებით. სასმელი წყლით სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი ბუტულირებულად მომარაგდება, ხოლო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სახანძრო დანიშნულების წყლის ამოღება შპს „თეგეტა მოტორსი“-ს ლიცენზირებული ჭაბურღილიდან განხორციელდება. წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება განხორციელდება სეპტიკში, საიდანაც გაწმენდილი წყალი ბეტონიზირებულ ორმოში შეგროვდება, რომელიც პერიოდულად, ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი კომპანიის მიერ იქნება გატანილი. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი კაპიტალურ შენობაში – მობეტონებულ, სითხეგაუმტარ და შემოფარგლულ ზედაპირზე განთავსება, სანიაღვრე წყლის დაბინძურება მოსალოდნელი არ არის. ავარიული დაღვრის შემთხვევაში, დაბინძურებული უბანი სპეციალური საწმენდი მანქანით დასუფთავდება, საიდანაც წარმოქმნილი ნარჩენის მართვა კანონმდებლობის სრული დაცვით მოხდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება ნაჯერი ნახშირწყალბადების (C_{12}-C_{19}) წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნაჯერი ნახშირწყალბადების (C_{12}-C_{19}) რაოდენობრივი მაჩვენებლები. გაბნევის გაანგარიშების შედეგების და უახლოეს მოსახლესთან დაშორების დიდი მანძილის (დაახლოებით 1030 მეტრი) გათვალისწინებით, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყარო 5 ერთეული ტუმბო

იქნება. დოკუმენტში წარმოდგენილია სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების პროგრამული მოდელირება, რომლის შედეგად უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის დონე 24,8 დბ-ს შეადგენს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ფუნქციონირება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც სეპარირებულად, შესაბამის მარკირებულ კონტეინერებში შეგროვდება. წარმოქმნილი ნარჩენების შემდგომი მართვა „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად განხორციელდება, ნარჩენების სახეობის მიხედვით და შესაბამისი ნორმების დაცვით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა დაგეგმილია შპს „თეგეტა მოტორსი“-ს ტექნიკური მომსახურების ობიექტის ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, არსებულ კაპიტალურ შენობაში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიიდან 500-მეტრიან რადიუსში ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის საქმიანობის მსგავსი პროფილის ობიექტი არ ფიქსირდება, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 10.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ მარტყოფში ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს გზშ-ს.**

2. ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ი ვალდებულია კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/464-21-4-202607080914